

შპს “ფაბრიკა 1900”

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	7
4. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	16
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	17
8. მარაგები	17
9. გაცემული სესხი და მისაღები პროცენტი	18
10. ძირითადი საშუალებები	19
11. არამატერიალური აქტივები	20
12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20
13. საგადასახადო ვალდებულებები	20
14. სასესხო ვალდებულებები და გადასახდელი პროცენტი	21
15. ფინანსური ინსტრუმენტები	22
16. ამონაგები	22
17. სხვა შემოსავლები	22
18. სხვა ხარჯები	23
19. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა	23
20. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები	23
21. კაპიტალი	22
22. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები	24
23. არაფულადი საინვესტიციო და საფინანსო ტრანზაქციები	27
24. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	28

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	6	1,593,942	75,509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2,704,068	2,067,783
მარაგები	8	1,280,900	951,472
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტი	9	583,426	900,899
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,162,336	3,995,663
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	5,973,675	4,129,346
არამატერიალური აქტივები	11	11,880	13,331
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,985,555	4,142,677
მთლიანი აქტივები		12,147,891	8,138,340
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	1,059,525	749,765
საგადასახადო ვალდებულებები	13	347,100	189,776
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	14	3,026,266	1,458,727
ვალდებულებები პარტნიორების წინაშე			
კაპიტალის შემცირებაზე		-	484,016
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,432,891	2,882,284
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	5,142,653	3,652,720
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,142,653	3,652,720
მთლიანი ვალდებულებები		9,575,544	6,535,004
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		222,345	222,345
საემისიო კაპიტალი	16	1,414,640	1,414,640
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		935,362	-(33,649)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,572,347	1,603,336
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,147,891	8,138,340

დირექტორი

ლევან ჩიკვილაძე

ფინანსური დირექტორი

ნათია ბოლქვაძე

6-28 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგებისა და გარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	17	14,638,789	9,992,537
რეალიზებული საქონლის			
თვითღირებულება		(9,188,181)	(5,825,304)
საერთო მოგება		5,450,608	4,167,233
სხვა შემოსავლები	18	371,472	443,404
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(2,847,088)	(1,768,540)
მიწოდების ხარჯები		(619,926)	(619,535)
სხვა ხარჯები	19	(751,628)	(1,486,961)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან -	20	(304,404)	(32,459)
საოპერაციო მოგება		1,299,034	703,142
ფინანსური შემოსავალი	21	58,225	111,204
ფინანსური ხარჯი	21	(388,248)	(347,087)
მოგება დაბეგვრამდე		969,011	467,259
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		969,011	467,259

დირექტორი

ლევან ჩიკვილაძე

ფინანსური დირექტორი

ნათია ბოლქვაძე

6-28 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	16	2,559,800	553,374	(500,908)	2,612,266
კაპიტალის ზრდა	16	-	861,266	-	861,266
კაპიტალის შემცირება		(2,337,455)	-	-	(2,337,455)
წმინდა მოგება		-	-	467,259	467,259
გაცემული დივიდენდი		-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი		222,345	1,414,640	(33,649)	1,603,336
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	-	-	-
წმინდა მოგება		-	-	969,011	969,011
გაცემული დივიდენდი		-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი		222,345	1,414,640	935,362	2,572,347

დირექტორი

ლევან ჩიკვილაძე

ფინანსური დირექტორი

ნათია ბოლქვაძე

6-28 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	16,667,350	11,460,868
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	33,149	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(9,681,790)	(8,267,646)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,478,887)	(1,647,915)
სხვა საოპერაციო ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,978,382)	(1,880,995)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,561,442	(335,688)
გადახდილი პროცენტები	(404,601)	(345,655)
მიღებული პროცენტები	31,209	-
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,188,050	(681,343)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,140,758)	(576,222)
ძირითადი საშუალებების გასვლა	61,198	321,524
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(12,489)
სესხის გაცემა	-	(76,898)
სესხის დაფარვა	2,491	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,077,070)	(344,085)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	336,120
კაპიტალის შემცირება	(452,613)	(355,471)
სასესხო ვალდებულებების ზრდა	12,951,889	3,181,192
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(10,108,213)	(2,078,815)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,391,062	1,083,027
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	1,502,043	57,598
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	75,509	29,397
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	16,390	(11,486)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	1,593,942	75,509

დირექტორი

ლევან ჩიკვილაძე

ფინანსური დირექტორი

ნათია ბოლქვაძე

6-28 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფაბრიკა 1900 (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 6 ივლისს. კომპანიის მფლობელები არიან შპს ISL CAUCASUS (50%) და შპს ლეგი ჯგუფი (50%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მუყაოს ყუთების წარმოება და მისი მისი რეალიზაცია.

კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ., კორ. 2, ბ. 7.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2019 წლის 13 სექტემბერს.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა სრული რეტროსპექტული გამოყენებისგან ყველა სავალდებულო გამონაკლისი და აგრეთვე ზოგიერთი ნებაყოფლობითი გამონაკლისი, რომელიც განმარტებულია ქვემოთ.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ადრინდელი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით მომზადებული 2017 წლის მოგების ან ზარალის შეჭერება იმავე პერიოდის მოგებასთან, ან ზარალთან, რომელიც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საკუთარ კაპიტალზე 2017 წლის 1 იანვრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31-12-17	01-01-17
ადგილობრივი სტანდარტით განსაზღვრული მთლიანი კაპიტალი	1,265,365	2,369,842
შეცდომების გასწორების ეფექტი	2,564	(5,721)
ადგილობრივი სტანდარტით განსაზღვრული კორექტირებული მთლიანი კაპიტალი	1,267,929	2,364,121
ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების კორექტირება	377,327	370,312
არამატერიალური ატივების საბალანსო ღირებულების კორექტირება	(880)	(1,771)
მარაგების საბალანსო ღირებულების კორექტირება	(26,877)	(107,740)
კაპიტალის კორექტირება	-	-
სესხის პროცენტის დარიცხვა	(12,297)	(12,656)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების აღიარება	(1,866)	-
მსს ფასს-ით განსაზღვრული მთლიანი კაპიტალი	1,603,336	2,612,266

მსს ფასს-ზე გადასვლისას გამოყენებული ნებაყოფლობითი გამონაკლისები

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღში (2017 წლის 1 იანვარი) მიწისა და შენობების კლასში არსებული აქტივებიდან უმრავლესობა შეაფასა რეალური ღირებულებით და მიიჩნია აღნიშნული რეალური ღირებულება დასაშვებ საწყის ღირებულებად აღნიშნული თარიღისათვის; შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილები გამოწვეული მსს ფასს-ზე გადასვლით

ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ახდენდა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდულად გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებას. ხელმძღვანელობამ მოახდინა სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლის გადაანგარიშება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიას არამატერიალურ აქტივად აღრიცხული ქონდა ისეთი ერთეული, რომელიც არ აკმაყოფილებდა მსს ფასს-ის აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. გადასვლით თარიღში მოხდა აღნიშნული ერთეულის აღიარების შეწყვეტა.

მარაგები

კომპანია წარმოებული მარაგის თვითღირებულებას არ აკუთნებდა წარმოების ყველა ხარჯს. მოხდა წარმოების ხარჯების განსაზღვრა და შესაბამისად მიკუთვნება წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებაზე.

აგრეთვე მარაგებს არ უტარდებოდა გაუფასურებაზე ტესტირება. ხელმძღვანელობამ მოახდინა მარაგების შეფასება უმცირესით, თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალში მოხდა ძირითადი საშუალებების შეტანა, რომელიც შეტანის მომენტში რეალური ღირებულებებით არ აისახა კაპიტალში. გადასვლის თარიღში მოხდა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით ასახვა კაპიტალის ნაწილში.

საპროცენტო ხარჯები

კომპანია საპროცენტო ხარჯებს აღიარებდა საკასო მეთოდით. ხელმძღვანელობამ მოახდინა საპროცენტო ხარჯების დარიცხვის მეთოდით გაანგარიშება და შესაბამისი ხარჯებისა და ვალდებულებების აღიარება.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ხდებოდა გაუფასურების აღიარება. ხელმძღვანელობამ მოახდინა გაუფასურების რეზერვის შეფასება და შესაბამისი ხარჯების აღიარება.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. ხოლო საწარმოო შენობისა და მანქანა-დანადგარების ცვეთის ხარჯი ჩაირთვება მარაგის (მზა პროდუქციის) თვითღირებულებაში.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
შენობა-ნაგებობები	10 - 30
დაუმთავრებელი მშენებლობა	-
მანქანა დანადგარები	5 - 20
სატრანსპორტო საშუალებები	10 - 15
ავეჯი და სხვა საოფისე მოწყობილობები	3 - 20
სხვა აქტივები	3 - 12

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარტები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარტს, ასევე ისეთ დანახარტებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარტებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარტებს.

წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება პირდაპირი მასალისა და პირდაპირი შრომითი დანახარტები. აგრეთვე მიკუთვნებული მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარტები. წარმოების შედეგად ნორმის ფარგლებში მიღებული მაკულატურა ფასდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით და აკლდება წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებას. ზენორმატიული მაკულატურა საბოლოოდ ფასდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, ხოლო თვითღირებულებასა (ერთეული მზა პროდუქციის თვითღირებულება) და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება ხარტად მაკულატურის წარმოქმნის მომენტში. შემდგომში ამგვარი მაკულატურის რეალიზაციიდან შემოსავლები და ხარტები აღარ აღიარდება.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აქტივის აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს მისი გაყიდვის დანახარტებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარტებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარტებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის

აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან და გაცემული სესხებისგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. შემდგომში გაცემული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს შესაფუთი მასალების, შეძენილი საქონლის და მაკულატურის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს, სატრანსპორტო მომსახურებით მიღებულ შემოსავალს და სხვა შემოსავლებს. სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით იბეგრება არა წლიური შედეგები, არამედ ყოველთვიური შედეგი განაწილებისას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი აგრეთვე მორალური მოძველება და საკანონმდებლო შეზღუდვები. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამონერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო კუთხით შეამოწმოს კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჭეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31-12-18	31-12-17
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,001	11,668
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	90,879	63,841
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,501,062	-
სულ	1,593,942	75,509

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-18	31-12-17
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2,272,692	1,187,637
გადახდილი ავანსები	65,128	795,819
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 22)	361,774	81,209
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,475	3,118
სულ	2,704,068	2,067,783

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 49,106 ლარის (2017 წელს 1,866 ლარის) ოდენობით.

8. მარაგები

	31-12-18	31-12-17
ნედლეული და მასალები	882,712	515,708
დაუმთავრებელი წარმოება	174,579	271,917
მზა პროდუქცია	148,373	103,660
საქონელი	60,818	54,285
სხვა მარაგები	14,419	5,902
სულ	1,280,900	951,472

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მზა პროდუქციის თვითღირებულებამ შეადგინა 9,185,501 ლარი (2017 წელს 5,818,742 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 2,680 ლარი (2017 წელს 6,562 ლარი), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში. მიმდინარე პერიოდში ხარჯად საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 67,459 ლარი (2017 წელს 235,931 ლარი), იგი ჩართულია სხვა ხარჯების მუხლში.

9. გაცემული სესხი და მისაღები პროცენტი

	31-12-18	31-12-17
გაცემული სესხები	569,400	872,227
მისაღები პროცენტები	14,026	28,672
სულ	583,426	900,899

გაცემული სესხი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ 2 წლიან სესხს, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9.7%-ს. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნა # 22.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	აგეჭი და სხვა საოფისე მოწყობილობები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2017	361,080	3,178,798	21,669	532,054	48,981	47,116	96,532	4,286,231
შემოსვლა	-	332,259	226,749	1,405,390	30,456	165,196	1,695	2,161,743
გასვლა	-	-	-	(41,813)	-	(661)	-	(42,474)
მუხლებს შორის მოძრაობა	-	248,417	(248,417)	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	361,080	3,759,474	-	1,895,631	79,437	211,651	98,227	6,405,500
ცვმთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2017	-	(92,618)	-	(43,916)	(3,076)	(6,631)	(10,643)	(156,884)
პერიოდის ცვმთა	-	(110,476)	-	(138,998)	(6,546)	(13,739)	(10,303)	(280,061)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	4,900	-	221	-	5,121
31 დეკემბერი 2018	-	(203,094)	-	(178,014)	(9,622)	(20,149)	(20,946)	(431,824)
ნეთ საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	361,080	3,086,180	21,669	488,138	45,905	40,485	85,890	4,129,346
31 დეკემბერი 2018	361,080	3,556,381	-	1,717,617	69,815	191,502	77,282	5,973,675

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა დანადგარები, რომელთა ნეთ საბალანსო ღირებულება შეადგენდა 5,130,261 ლარს, (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 3,606,839 ლარს) ჩადებული იყო სესხის უზრუნველყოფაში.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული ზღრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2017	14,506	14,506
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2018	14,506	14,506
ცვმთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2017	(1,175)	-(1,175)
პერიოდის ცვმთა	(1,451)	-(1,451)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2018	(2,626)	(2,626)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2017	13,331	13,331
31 დეკემბერი 2018	11,881	11,880

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-18	31-12-17
სავაჭრო ვალდებულებები	922,592	658,154
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 22)	623	-
მიღებული ავანსები	131,814	85,013
თანამშრომლებზე გადასახდელი ხელფასები და პრემიები	3,330	3,597
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,166	3,001
სულ	1,059,525	749,765

13. საგადასახადო ვალდებულებები

	31-12-18	31-12-17
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(946)	(3,036)
გადასახდელი მოგების გადასახადი (სხვა)	(1,056)	-
გადასახდელი დღგ	(326,537)	(173,953)
გადახდილი დღგ	8,591	18,225
ქონების გადასახადი	(27,152)	(30,966)
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	-	(46)
სულ	(347,100)	(189,776)

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. სასესხო ვალდებულებები და გადასახდელი პროცენტი

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	31-12-18	31-12-17
მოკლევადიანი სესხები	1,371,087	518,440
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1,100,161	900,535
გრძელვადიანი საიტარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	32,512	27,455
ვალდებულება ფაქტორინგიდან	518,342	-
გადასახდელი პროცენტი	4,163	12,297
სულ	3,026,266	1,458,727

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31-12-18	31-12-17
გრძელვადიანი სესხები	5,101,441	3,583,695
საიტარო ვალდებულებები	41,212	69,025
სულ	5,142,653	3,652,720

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება - მომავალი საიტარო გადასახდელები

	31-12-18	31-12-17
1 წელზე ნაკლები	40,365	39,175
1-დან 5 წლის ჩათვლით	47,747	85,334
5 წელზე მეტი	-	-
სულ	88,112	124,508

მოკლევადიანი სესხები დენომინირებულია ლარში, ევროში და დოლარში. ლარში დენომინირებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 20.1%, ევროში დენომინირებულ სესხზე 5.8%, ხოლო დოლარში დენომინირებულ სესხზე წლიურ 7%-8%-ს. კომპანიას სესხები აღებული აქვს როგორც ბანკისგან ისე დაკავშირებული მხარეებისგან.

გრძელვადიანი სესხები წარმოადგენს საბანკო სესხებს, რომლებიც დენომინირებულია დოლარში და ევროში. საპროცენტო განაკვეთი ევროში დენომინირებულ სესხზე შეადგენს წლიურ 6%, ხოლო დოლარში დენომინირებულ სესხზე წლიურ 7%-8.15%-ს სესხების დაფარვის ვადები მერყეობს 2020 წლიდან 2026 წლამდე.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონებით, რომლის საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,130,261 ლარს (2017 წელს 3,606,839 ლარს) (შენიშვნა #10), აგრეთვე დამფუძნებლების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით და პირადი თავდებობით. დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნა # 22.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები

<i>ფინანსური აქტივები</i>	31-12-18	31-12-17
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	4,580,227	2,226,854
სულ	4,580,227	2,226,854

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	31-12-18	31-12-17
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	9,092,134	5,769,602
სულ	9,092,134	5,769,602

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის შევსება მოხდა ფულადი სახსრების, მარაგების და ძირითადი საშუალებების შეტანით. ძირითადი საშუალებები სანქსდებო კაპიტალში აისახა ერთობლივად მაკონტროლებელ მხარესთან არსებული საბალანსო ღირებულებით, ხოლო სხვაობა რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის დაფიქსირდა საემისიო კაპიტალში.

17. ამონაგები

	2018	2017
მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები	14,638,789	9,992,537
სულ	14,638,789	9,992,537

18. სხვა შემოსავლები

	2018	2017
შემოსავალი მაკულატურის და ნახევარფაბრიკატების რეალიზაციიდან	184,899	316,781
შემოსავალი გადაზიდვის მომსახურებიდან	84,993	24,193
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5,085	74,722
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9,453	16,227
შემოსავალი შესაფუთი მასალების რეალიზაციიდან	7,003	11,480
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	33,149	-
სხვა შემოსავლები	46,890	-
სულ	371,472	443,404

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

19. სხვა ხარჯები

	2018	2017
რეალიზებული მაკულატურის და ნახევარფაბრიკატების თვითღირებულება	66,256	157,304
ზარალი ზენორმატიული მაკულატურიდან	652,887	939,256
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	365	71,158
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	17,183	311,774
რეალიზებული შესაფუთი მასალების თვითღირებულება	839	7,469
დასაბეგრ ხარჯებზე დარიცხული მოგების გადასახადი	14,100	-
სულ	751,628	1,486,961

20. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან – წმინდა

	2018	2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	680,007	1,202,702
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(984,411)	(1,235,161)
სულ	(304,404)	(32,459)

21. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2018	2017
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(388,248)	(347,087)
სულ ფინანსური დანახარჯები	(388,248)	(347,087)

<i>ფინანსური შემოსავალი</i>		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	58,225	111,204
სულ ფინანსური შემოსავალი	58,225	111,204
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(330,023)	(235,883)

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50% წილს ფლობს შპს ISL CAUCASUS და დარჩენილ 50% წილს შპს ლეგი ჯგუფი.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონებით, ასევე ერთობლივად მაკონტროლებელი მხარეების დამფუძნებლების და მათი ახლო ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით და თავდებობით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის და მომსახურების მიწოდება:

	2018	2017
<i>საქონლის მიწოდება:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	5,732	12,084
სხვა დაკავშირებული მხარეები	112,650	21,604
	118,383	33,689
<i>მომსახურების მიწოდება:</i>		
სხვა დაკავშირებული მხარეები	3,446	-
სულ საქონლის და მომსახურების მიწოდება	121,828	33,689

საქონლის და მომსახურების შეძენა:

	2018	2017
<i>საქონლის შეძენა:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	379,600	12,103
სხვა დაკავშირებული მხარეები	35,466	14,224
	415,065	26,326
<i>მომსახურების შეძენა:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	182,513	335,636
სულ საქონლის და მომსახურების შეძენა	597,579	361,962

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 7)	31-12-18	31-12-17
<i>სავაჭრო დებიტორული დავალიანება:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	49,051	55,361
სხვა დაკავშირებული მხარეები	81,116	7,448
	130,167	62,809
<i>გადახდილი ავანსი:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	231,607	18,400
სულ მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	361,774	81,209

ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 12)	31-12-18	31-12-17
<i>სავაჭრო კრედიტორული დავალიანება:</i>		
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარე	42	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	582	-
სულ ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	623	-

ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეზე ხდება მზა პროდუქციის მიწოდება.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლის მაკონტროლებელი მხარეა შპს "ფაბრიკა 1900"-ის ერთობლივად მაკონტროლებელი მხარის დამფუძნებლები, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ შპს "ფაბრიკა 1900"-ის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს. სხვა დაკავშირებულ მხარეებზე ხდება მზა პროდუქციის და საიტარო მომსახურების მიწოდება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხორციელდა საბაზრო ფასად. მოთხოვნის დაფარვის ვადა ინდივიდუალურია თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან. სხვა დაკავშირებულ მხარესთან ხდება შეთანხმების საფუძველზე წელიწადში ორჯერ, ხოლო ერთობლივად მაკონტროლებელ მხარესთან წელიწადში სამჯერ ან შეთანხმების შესაბამისად. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარტები არ აღიარებულია.

ერთობლივად მაკონტროლებელი მხარისგან ხდება საიტარო მომსახურების და საქონლის შეძენა.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლის მაკონტროლებელი მხარეა შპს "ფაბრიკა 1900"-ის ერთობლივად მაკონტროლებელი მხარის დამფუძნებლები, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ შპს "ფაბრიკა 1900"-ის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს. სხვა დაკავშირებული მხარეებისგან ხდება საოფისე საქონლის, მაკულატურის და შესაფუთი მასალების შეძენა.

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხორციელდა საბაზრო ფასად. დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვის ვადა საიჯარო მომსახურების შემთხვევაში შეადგენს 1 თვეს, ხოლო სხვა შემთხვევაში განისაზღვრება შეთანხმებით ინდივიდუალურად თითოეული ოპერაციისთვის. ვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები

	2018	2017
ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეზე გაცემული სესხები:		
საწყისი ნაშთი	900,900	1,328,193
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	66,692	293,709
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(369,519)	(729,926)
დარიცხული პროცენტი	58,930	113,656
მიღებული პროცენტი	(73,575)	(104,733)
სულ პერიოდის ბოლოს	583,427	900,900

კომპანიას ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეზე გაცემული აქვს 2 წლიანი სესხი. სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში და ერიცხება წლიური 9.7%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი. აღნიშნულ სესხთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალი არ აღიარებულა.

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები

	2018	2017
ერთობლივად მაკონტროლებელი მხარისგან მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	-	166,090
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-	5,314
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(169,251)
დარიცხული პროცენტი	-	9,556
გადახდილი პროცენტი	-	(11,709)
სულ ერთობლივად მაკონტროლებელი მხარისგან მიღებული სესხები	-	-

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის

ხელმძღვანელებისგან მიღებული სესხები:

საწყისი ნაშთი	-	69,811
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-	34,667
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(104,454)
დარიცხული პროცენტი	-	1,255
გადახდილი პროცენტი	-	(1,279)
სულ დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებისგან მიღებული სესხები	-	-

სულ დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები	-	-
---	----------	----------

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კომპანიას ერთობლივად მაკონტროლებელი მხარისგან აღებული აქვს 2 წლიანი სესხი. სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში და ერიცხება წლიური 9.1%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

კომპანიას დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისგან მიღებული აქვს 2 წლიანი სესხი. სესხი დენომინირებულია ლარში და ერიცხება წლიური 13%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გადახდილი ან გადასახდელი კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება მთლიანად	1,310,218	433,578
სულ	1,310,218	433,578

23. არაფულადი საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები

კომპანიამ განახორციელა შემდეგი არაფულადი საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა:

	2018	2017
ძირითადი საშუალებების შეძენა კაპიტალის ზრდით	-	1,369,322
ძირითადი საშუალებების შეძენა ლიზინგით	-	131,758
საიტარო ვალდებულებების დაფარვა მოთხოვნით	-	27,954
სავალო ვალდებულებების კონვერტაცია საკუთარ კაპიტალად	-	159,418
კაპიტალის შემცირება გაცემული სესხის და მისაღები პროცენტის ანუღირებით	343	632,983
კაპიტალის შემცირება სავაჭრო მოთხოვნის ანუღირებით	10,428	10,000

შპს ფაბრიკა 1900

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

24. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 1,302,000 ლარის დივიდენდი.

2018 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის მიერ მოხდა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეძენა და კაპიტალური რემონტი (მიწა 529,740 ლარის; მანქანა დანადგარები 1,306,119 ლარის; სატრანსპორტო საშუალებები 57,593 ლარის). კომპანიამ აგრეთვე დაიწყო საწარმოო შენობის გაფართოების სამუშაოები, რაც გულისხმობს მის 5000 მ²-ით გაფართოებას.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამატებით აიღო და აითვისა 1,820,000 ევროს სესხები. ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით. თუმცა კომპანიამ ვადაზე ადრე მთლიანად დაფარა საიტარო ვალდებულება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები დენომინირებული იყო ევროში და აშშ დოლარში, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო კომპანიამ მიიღო მნიშვნელოვანი არარეალიზებული ზარალი საკურსო სხვაობის გამო.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ "აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში გააფორმა სესხის ხელშეკრულება 3,720,000 ლარის ოდენობის სესხზე, საიდანაც ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე მოხდა 200,000 ლარის ათვისება. სესხის პროცენტის ნაწილს აფინანსებს პროგრამა "აწარმოე საქართველოში". სესხის მიზნობრიობას შეადგენს ინფრასტრუქტურის სრული გამართვა (ძველი შენობის რეაბილიტაცია და არსებული საწარმოო შენობის გაფართოება 5000 მ²-ით) და მანქანა-დანადგარების შეძენა.